# შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“

## ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**შინაარსი:**


დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 3

**ფინანსური ანგარიშგება:**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... 6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ..... 8

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია ..... 9
2. მომზადების საფუძვლები ..... 9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 10
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა ..... 11
5. იჯარები ..... 15
6. საგადასახადო აქტივი ..... 15
7. სავაჭრო მოთხოვნები ..... 16
8. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 17
9. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება ..... 17
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 18
11. ამონაგები ..... 18
12. მომსახურების თვითღირებულება ..... 19
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 19
14. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი ..... 19
15. პირობითი ვალდებულებები ..... 21
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 22
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 23
18. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა ..... 23

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს

## მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯიას“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი  აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

## მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია  დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

14 თებერვალი, 2020 წელი

**შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | | 14,808 | 5,966 |
| აქტივების გამოყენების უფლება | 5 | 188,617 | - |
| | | **203,425** | **5,966** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| საგადასახადო აქტივი | 6 | 239,694 | 460,963 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 7 | 389,339 | 118,267 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8 | 1,485,234 | 1,250,784 |
| | | **2,114,267** | **1,830,014** |
| **მთლიანი აქტივები** | | **2,317,692** | **1,835,980** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 9 | 166,077 | 166,077 |
| გაუნაწილებელი მოგება | 9 | 1,696,543 | 1,549,257 |
| **მთლიანი კაპიტალი** | | **1,862,620** | **1,715,334** |
| **ვალდებულებები** | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 5 | 181,880 | - |
| | | **181,880** | **-** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 10 | 257,120 | 120,646 |
| საიჯარო ვალდებულება | 5 | 16,072 | - |
| | | **273,192** | **120,646** |
| **სულ ვალდებულებები** | | **455,072** | **120,646** |
| **მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **2,317,692** | **1,835,980** |

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 14 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ილია კაპანაძე

ფინანსური დირექტორი _____ მიხეილ ჯავახიშვილი

*9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

| | **შენიშვნა** | **2019** | **2018** |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 11 | 4,297,681 | 4,032,082 |
| მომსახურების თვითღირებულება | 12 | (2,159,737) | (1,931,046) |
| **საერთო მოგება** | | **2,137,944** | **2,101,036** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 13 | (660,513) | (662,385) |
| **საოპერაციო მოგება** | | **1,477,431** | **1,438,651** |
| ფინანსური შემოსავალი, წმინდა | | 18,906 | 31,090 |
| მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა | | 69,132 | 39,711 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **1,565,469** | **1,509,452** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 9 | (98,857) | (131,074) |
| **წლის სრული შემოსავალი** | | **1,466,612** | **1,378,378** |

*9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

| | **საწესდებო კაპიტალი** | **გაუნაწილებელი მოგება** | **სულ** |
|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2017** | **166,077** | **1,797,133** | **1,963,210** |
| წლის სრული შემოსავალი | - | 1,378,378 | **1,378,378** |
| გამოცხადებული დივიდენდი | - | (1,626,254) | **(1,626,254)** |
| **31 დეკემბერი 2018** | **166,077** | **1,549,257** | **1,715,334** |
| წლის სრული შემოსავალი | - | 1,466,612 | **1,466,612** |
| გამოცხადებული დივიდენდი | - | (1,319,326) | **(1,319,326)** |
| **31 დეკემბერი 2019** | **166,077** | **1,696,543** | **1,862,620** |

*9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:** | | | |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **1,565,469** | **1,509,452** |
| კორექტირებები: | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 5 | 23,631 | - |
| კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება, წმინდა | 8 | (69,132) | (39,711) |
| საპროცენტო შემოსავალი, წმინდა | | (18,906) | (31,090) |
| გაუფასურების ხარჯი | 6 | 4,952 | (5,020) |
| ***ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე*** | | **1,506,014** | **1,433,631** |
| (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში: | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | | (256,364) | 125,057 |
| საგადასახადო აქტივები | | 221,269 | 53,637 |
| ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში: | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | | 166,412 | (596,061) |
| ***ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან*** | | **1,637,331** | **1,016,264** |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (98,857) | (300,000) |
| ***წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან*** | | **1,538,474** | **716,264** |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | | (8,842) | (3,428) |
| მიღებული პროცენტი | | 42,912 | 31,090 |
| ***წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საინვესტიციო საქმიანობიდან*** | | **34,070** | **27,662** |
| **ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:** | | | |
| გადახდილი დივიდენდები | 9 | (1,319,326) | (1,626,254) |
| საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა | 5 | (14,296) | - |
| საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა | 5 | (24,006) | - |
| ***წმინდა ფულადი სახსრების გამოყენება ფინანსურ საქმიანობაში*** | | **(1,357,628)** | **(1,626,254)** |
| **ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)** | | **214,916** | **(882,328)** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში** | | **1,250,784** | **2,091,951** |
| კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე | | 19,534 | 41,161 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის** | | **1,485,234** | **1,250,784** |

*9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“ (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 2007 წლის აგვისტოში, საქართველოში, ქ. თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ტელეგრაფის ჩიხი #4. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204436555. კომპანიის გენერალური დირექტორია ილია კაპანაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვის მომსახირება საქართველოში და საქართველოს გარეთ, საზღვაო და სახმელეთო გზებით.

2019 და 2018 წლებში კომპანიას აქვს 1 სათაო ოფისი ქ. თბილისში და 1 ფილიალი ქ. ფოთში.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის მფლობელების შესახებ მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა ოდენობა არის 10 ადამიანი.

შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“ არის შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის“ (შემდგომში - მშობელი კომპანია) აგენტი და მშობელი კომპანიისგან იღებს საკომისიო შემოსავლებს ტვირთის გადაზიდვის მომსახურებისთვის.

დეტალური ინფორმაცია აგენტის საკომისიო შემოსავლების შესახებ მოცემულია მე-11 შენისვნაში.

## 2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-18 შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

ფინანსური ანგარიშგება წარადგენილია ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

**შეფასების საფუძვლები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

**2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)**

**ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში**

**ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:**

ახალი სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან და არსებით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არის შემდეგი:

- ფასს 16 „იჯარა“

გავლენა, რომელიც აღნიშნულმა სტანდარტმა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია მე-14 შენიშვნაში. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია ბასსკ-ის მიერ და ძალაში შევა მომდევნო წელს, არ არის მოსალოდნელი, რომ გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ისინი ან არ არიან რელევანტური კომპანიის საქმიანობასთან ან კომპანიას უკვე აქვს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც თავსებადია მათთან.

**ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**სხვა**

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება** - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე.

### 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელზიც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

**ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები

**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
  - საპროცენტო რისკი;
  - სავალუტო რისკი.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| **ფინანსური აქტივები** | **31 დეკემბერი 2019** | **31 დეკემბერი 2018** |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 389,339 | 118,267 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,485,234 | 1,250,784 |
| | **1,874,573** | **1,369,051** |

კომპანია წარადგენს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („მსდ''). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების'' მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების ზემოთ მოცემული თანხები არის გაუფასურების რეზერვთან დანეტილი თანხები. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასანეიტრალებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში. ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | **1 წლამდე** | **1 წლიდან 5 წლამდე** | **5 წელზე მეტი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 222,228 | - | - | **222,228** |
| საიჯარო ვალდებულება | 16,071 | 86,892 | 94,989 | **197,952** |
| | **238,299** | **86,892** | **94,989** | **420,180** |

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | **1 წლამდე** | **1 წლიდან 5 წლამდე** | **5 წელზე მეტი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 120,646 | - | - | **120,646** |
| | **120,646** | **-** | **-** | **120,646** |

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმომქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანიამ განსაზღვრა ზღვრული საპროცენტო განაკვეთი საიჯარო გადასახდელებისთვის და დაიანგარიშა როგორც საშუალო-შეწონილი განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| **ფინანსუტი აქტივები** | **შენიშვნა** | **ლარი** | **დოლარი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 7 | 206,157 | 183,182 | **389,339** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8 | 487,447 | 997,787 | **1,485,234** |
| | | **693,604** | **1,180,969** | **1,874,573** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 10 | 62,798 | 159,430 | **222,228** |
| საიჯარო ვალდებულება | 5 | 197,952 | - | **197,952** |
| | | **260,750** | **159,430** | **420,180** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | | **432,854** | **1,021,539** | **1,454,393** |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| **ფინანსუტი აქტივები** | **შენიშვნა** | **ლარი** | **დოლარი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 7 | 24,853 | 93,414 | **118,267** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8 | 629,983 | 620,801 | **1,250,784** |
| | | **654,836** | **714,215** | **1,369,051** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 10 | 87,267 | 33,379 | **120,646** |
| | | **87,267** | **33,379** | **120,646** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | | **567,569** | **680,836** | **1,248,405** |

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

**სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე მნიშვნელოვანი სავალუტო ნაშთების გადაფასების ეფექტი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2019 | | 31 დეკემბერი 2018 | |
|---|---|---|---|---|
| **საკურსო სხვაობის მგრძნობელობა** | **+20%** | **-20%** | **+20%** | **-20%** |
| აშშ დოლარის გავლენა | **204,308** | **(204,308)** | **136,167** | **(136,167)** |

**ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება**

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ორგანიზაცია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

**კაპიტალის მართვა**

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

**5. იჯარები**

კომპანია ქირაობს ორ საოფისე ფართს - ქ. თბილისსა და ქ. ფოთში. საოფისე ფართების იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია ლარში.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

| | **საოფისე ფართი** |
|---|---|
| **2019 წლის 1 იანვარი** | **212,248** |
| ამორტიზაცია | (23,631) |
| **2019 წლის 31 დეკემბერი** | **188,617** |

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

| | **საოფისე ფართი** |
|---|---|
| **2019 წლის 1 იანვარი** | **212,248** |
| საპროცენტო ხარჯი | 24,006 |
| საიჯარო გადასახდელი | (38,302) |
| **2019 წლის 31 დეკემბერი** | **197,952** |

**6. საგადასახადო აქტივი**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადები ერთიანი ხაზინის კოდზე, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარმოადგენს წმინდა საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას. კომპანიის საგადასახადო აქტივი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 239,694 ლარსა და 460,963 ლარს, შესაბამისად.

## 7. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| **ფინანსური მოთხოვნები** | | |
| სავაჭრო მოთხოვნები | 408,445 | 132,421 |
| გამოკლებული: სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება | (19,106) | (14,154) |
| **ფინანსური მოთხოვნები, წმინდა** | **389,339** | **118,267** |

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან.

კომპანია განსაზღვრავს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგს. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | მიმდინარე | 31-60 დღე | 61-120 დღე | 121-180 დღე | 181-360 დღე | >360 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი დანაკარგი | 1% | 3% | 10% | 50% | 70% | 100% | |
| **სავაჭრო მოთხოვნები** | | | | | | | |
| მთლიანი ღირებულება | 291,982 | 85,649 | 19,108 | - | - | 11,706 | **408,445** |
| ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე | 2,920 | 2,569 | 1,911 | - | - | 11,706 | **19,106** |

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | მიმდინარე | 31-60 დღე | 61-120 დღე | 121-180 დღე | 181-360 დღე | >360 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი დანაკარგი | 1% | 3% | 10% | 50% | 70% | 100% | |
| **სავაჭრო მოთხოვნები** | | | | | | | |
| მთლიანი ღირებულება | 66,464 | 53,028 | 180 | 1,394 | 572 | 10,783 | **132,421** |
| ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე | 665 | 1,591 | 18 | 697 | 400 | 10,783 | **14,154** |

**7. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)**

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **1 იანვარი** | **14,154** | **19,174** |
| ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე | 5,811 | 7,525 |
| წინა პერიოდში ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა | (859) | (5,020) |
| საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები | - | (7,525) |
| **გაუფასურების ანარიცხის ცვლილება** | **4,952** | **(5,020)** |
| **31 დეკემბერი** | **19,106** | **14,154** |

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

**8. ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| ეროვნული ვალუტა ბანკში | 487,448 | 629,983 |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში | 852,210 | 496,713 |
| შეზღუდული ფული * | 145,576 | 124,088 |
| | **1,485,234** | **1,250,784** |

*შეზღუდული ფული ოდენობით - 145,577 ლარი და 124,178 ლარი, წარმოადგენს დეკემბრის ბოლოს არსებულ გარანტიას სს „თიბისი ბანკისგან“, გადაზიდვისა და დაყოვნების საკომისიოების დაზღვევისთვის კომპანია შპს "ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის" სასარგებლოდ. მოქმედების ვადა არის 2020 წლის 17 ივლისი და 2019 წლის 17 ივლისი, შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

**9. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაარსების დღიდან დღემდე წარმოადგენს 166,077 ლარს. 2019 და 2018 წლებში არ მომხდარა რაიმე სახის ცვლილება, შესაბამისად. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 166,077 ლარს, შესაბამისად.

კომპანიას ჰყავს შემდეგი მფლობელები:

| | 31 დეკემბერი 2019, % | 31 დეკემბერი 2018, % |
|---|---|---|
| შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისი“ | 51.00% | 51.00% |
| შპს „პეის ჯორჯია“ | 49.00% | 49.00% |
| | **100.00%** | **100.00%** |

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისი“.

## 9. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება (გაგრძელება)

გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი 2019 და 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| შპს „პეის ჯორჯია“ | 759,136 | 883,499 |
| შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისი“ | 560,190 | 742,755 |
| | **1,319,326** | **1,626,254** |

2019 და 2018 წლებში გადახდილ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის ხარჯი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იყო 98,857 ლარი და 131,075 ლარი, შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კორპორატიული მოგების გადასახადის გადახდა გადავადდება წმინდა მოგების განაწილების თარიღამდე. კორპორატიული მოგების გადასახადის განაკვეთია 15%-ი, ტექნიკურად, დაანგარიშების კუთხით, დასაბეგრ თანხას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. კორპორატიული მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდის გაცემის მომენტში, ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ (როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ) პირებზე.

## 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 217,995 | 111,278 |
| სხვა ვალდებულებები | 4,233 | 9,368 |
| | **222,228** | **120,646** |
| **არა-ფინანსური ვალდებულებები** | | |
| მიღებული ავანსი | 34,892 | - |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **257,120** | **120,646** |

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის და ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

## 11. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| სატერმინალო მომსახურება | 2,951,929 | 2,927,281 |
| სახმელეთო გადაზიდვები | 512,673 | 334,497 |
| კონტეინერის გაქირავება | 222,435 | 132,977 |
| კონტეინარის შენახვა | 241,790 | 245,798 |
| *აგენტის მომსახურების საფასური | 191,885 | 230,764 |
| დოკუმენტაციის მომსახურება | 168,662 | 146,733 |
| სხვა | 8,307 | 14,032 |
| | **4,297,681** | **4,032,082** |

## 11. ამონაგები (გაგრძელება)

*აგენტის საფასური წარმოადგენს სახელშეკრულებო საკომისიოს, რომელიც მიიღო დედა კომპანიისგან გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის. აგენტის საფასური 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნი სახით:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ტვირთის მიღების მომსახურება | 126,808 | 145,078 |
| ტვირთის გაშვების მომსახურება | 42,451 | 46,540 |
| კონტეინერის შეყოვნების შედეგად მიღებული ჯარიმა | 22,626 | 34,726 |
| კონტეინერის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | - | 4,420 |
| | **191,885** | **230,764** |

## 12. მომსახურების თვითღირებულება

მომსახურების თვითღირებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ფოთის საზღვაო ნავსადგურის ხარჯები | (1,213,691) | (1,224,958) |
| სატერმინალო ხარჯები | (625,090) | (466,884) |
| სახმელეთო გადაზიდვების ხარჯი | (320,956) | (239,204) |
| | **(2,159,737)** | **(1,931,046)** |

## 13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| პერსონალის ხარჯი | (557,307) | (489,283) |
| აუდიტი და კონსულტაცია | (35,132) | (22,964) |
| *ცვეთა და ამორტიზება | (23,631) | - |
| დაზღვევა | (16,506) | (39,710) |
| იჯარა | - | (38,302) |
| ბანკის გადასახადი | (4,435) | (16,670) |
| სხვა | (23,502) | (55,456) |
| | **(660,513)** | **(662,385)** |

*ცვეთისა და ამოარტიხზაციის ხარჯი წარმოადგენს აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაციას. დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

## 14. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი

კომპანია იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. ამ ცვლილების ეფექტი, მოცემულია ქვემოთ.

**14. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი (გაგრძელება)**

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო საქმიანობა, როგორც მეიჯარეს.

**გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება**

კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალება იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:

ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;

ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღირიცხება.

როგორც მოიჯარე, კომპანია ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, კომპანია უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად კომპანიამ აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

| **კლასიფიკაცია ბასს 17-ით** | **აქტივების გამოყენების უფლება** | **საიჯარო ვალდებულება** |
|---|---|---|
| საოპერაციო იჯარა | ოფისის იჯარისთვის: აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით. | აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 აინვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრულ სასესხო განაკვეთად ქ. თბილისსა და ქ. ფოთში მდებარე საოფისე ფართებისთვის არის საშუალო შეწონილი განაკვეთი, 11.54%-ი და 12.28%-ი, შესაბამისად. |

## 14. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

| | | 31 დეკემბერი 2018 | | |
|---|---|---|---|---|
| | | **თავდაპირველად წარდგენილი** | **ფასს 16** | **1 იანვარი 2019** |
| **<u>აქტივები</u>** | | | | |
| აქტივების გამოყენების უფლება | (ა) | - | 212,248 | 212,248 |
| **<u>ვალდებულებები</u>** | | | | |
| საიჯარო ვალდებულებები | (ბ) | - | 212,248 | 212,248 |

(ა) აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება არის საოპერაციო ტიპის იჯარისთვის.

(ბ) ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებიდან ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებულ საიჯარო ვალდებულებამდე.

| | **1 იანვარი 2019** |
|---|---|
| მინიმალური საიჯარო გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | **348,854** |
| გამოკლებული: თავდაპირველი აღიარებისას ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით ამორტიზების ეფექტი | (136,606) |
| **საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **212,248** |

## 15. პირობითი ვალდებულებები

### იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას საქმიანობის ჩვეულ პროცესში აქვს სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები. კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან, რომლებმაც დაარღვიეს ნაკისრი ვალდებულებები. ყველაზე მაღალი შედეგი, რაც კომპანიამ შეიძლება მიიღოს ასეთი დავებიდან არის ამ პირებისადმი არსებული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები (დარიცხული ჯარიმების გათვალისწინებით). იქიდან გამომდინარე, რომ გაურკვეველია, ასეთი პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კომპანია ქმნის გაუფასურების ანარიცხს ამ ტიპის სავაჭრო მოთხოვნებზე, როგორც მოცემულია მე-7 შენიშვნაში. ასევე კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან, რომლებიც დუჩივიან მას, ვალდებულებების დარღვევის პრეტენზიით. ყველაზე მაღალი შედეგი, რაც კომპანიამ შეიძლება მიიღოს ასეთი დავებიდან არის ამ პირებისადმი არსებული სავაჭრო ვალდებულებების ნაშთები (დარიცხული ჯარიმების გათვალისწინებით).

### დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

## 15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 152,689 ლარი.

## 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეებთან არსებული ნაშთები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | კავშირის ფორმა | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|---|
| **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | | **184,619** | **73,409** |
| - შპს „პეის ჯორჯია“ | მფლობელი | 9,285 | 34,417 |
| - შპს „ზიმ ინთეგრეითიდ სერვისი“ | მფლობელი | 151,670 | 14,171 |
| - შპს „პეის ტრანსი“ | სხვა დაკავშირებული მხარე | 23,664 | 24,821 |

## 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

| | **კავშირის ფორმა** | **2019** | **2018** |
|---|---|---|---|
| **ამონაგები** | | **844,029** | **851,934** |
| - შპს „ზიმ ინთეგრეითიდ სერვისი“ | მფლობელი | 844,029 | 817,819 |
| - შპს „პეის ჯორჯია“ | მფლობელი | - | 34,115 |
| **მომსახურების თვითღირებულება** | | **(1,011,982)** | **(855,470)** |
| - შპს „პეის ჯორჯია“ | მფლობელი | (824,156) | (716,819) |
| - შპს „პეის ტრანსი“ | სხვა დაკავშირებული მხარე | (187,826) | (138,651) |

| | **2019** | **2018** |
|---|---|---|
| უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო | 222,816 | 198,287 |

## 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

## 18. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

### ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია სამუშაო და წარსადგენ ვალუტად იყენებს ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ლარს.

### ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგებაკურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

| | *აშშ დოლარი* | *ევრო* |
|---|---|---|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8677 | 3.2095 |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766 | 3.0701 |

**18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ფინანსური ინსტრუმენტები**

***ფინანსური აქტივები***

კომპანია ფინანსურ აქტივების აღრიცხავს ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ შესაბამისად. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

***ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი***

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია ფასს 9-ის მიხედვით, პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

***ფინანსური ვალდებულებები***

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში.

**სხვა ფინანსური ვალდებულებები**

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, რომლებიც საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

***ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება***

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

***ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა***

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

**იჯარები**

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

კომპანია ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-14 შენიშვნ. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

**18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

**საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შევსებულია კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

**დივიდენდები**

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, პარტნიორთა საერთო კრებაზე.

**დაბეგვრა**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

**18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

**ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან**

***შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა***

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომხმარებლებისთვის ტვირთის საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვის მომსახურების მიწოდებიდან. ასევე, კომპანია იღებს საკომისიო შემოსავალს მშობელი კომპანიისგან, როგორც აგენტის საკომისიო, ტვირთის გადაზიდვის ოპერაციების მომსახურებისას.

ამონაგები ტვირთის საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვის მომსახურებიდან აღიარდება კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მომსახურება შესრულდება.

კომპანიას არ გააჩნია ხელმოწერილი ხელშეკრულებები მომხმარებლებთან, მაგრამ ამის ნაცვლად ყველა სახის პირობას კლიენტებთან ათანხმებენ ინვოისების მეშვეობით. ინვოისები გამოიწერება ცალ-ცალკე ყველა შესრულებული სამუშაოსთვის და კომპანია მათ შესაბამისად აღიარებს ამონაგებს.

კონტროლის გადაცემის მომენტის გამოსავლენად, კომპანია იყენებს შემდეგ მსჯელობას: მას შემდეგ რაც მომხმარებელმა მიიღო მომსახურება, კომპანიას არ გააჩნია დამატებითი ვალდებულება, აქვს გადახდის მოთხოვნის უფლება და არ იტოვებს რაიმე არსებით რისკს.

***ოპერაციის ღირებულების განსაზღვრა***

ოპერაციის ღირებულება განისაზღვრება მხარეების მიერ. ეს არის ფიქსირებული ღირებულება, რომელიც ფიქსირდება გამოწერილ ინვოისში, რომელიც დაასტურდება ყველა მონაწილე მხარის მიერ.

***შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება***

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება ხდება გამოწერილი ინვოისების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა გასაწევი მომსახურების შესაბამის ფასს.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

**სახელფასო ხარჯები**

ანაზღაურება, ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს

**მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯიას“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

**მოსაზრების საფუძველი**

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად,

BDO

გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

14 თებერვალი, 2020 წელი

**შპს „ზიმ ინთეგრეითიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | | 14,808 | 5,966 |
| აქტივების გამოყენების უფლება | 5 | 188,617 | - |
| | | **203,425** | **5,966** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| საგადასახადო აქტივი | 6 | 239,694 | 460,963 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 7 | 389,339 | 118,267 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8 | 1,485,234 | 1,250,784 |
| | | **2,114,267** | **1,830,014** |
| **მთლიანი აქტივები** | | **2,317,692** | **1,835,980** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 9 | 166,077 | 166,077 |
| გაუნაწილებელი მოგება | 9 | 1,696,543 | 1,549,257 |
| **მთლიანი კაპიტალი** | | **1,862,620** | **1,715,334** |
| **ვალდებულებები** | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 5 | 181,880 | - |
| | | **181,880** | **-** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 10 | 257,120 | 120,646 |
| საიჯარო ვალდებულება | 5 | 16,072 | - |
| | | **273,192** | **120,646** |
| **სულ ვალდებულებები** | | **455,072** | **120,646** |
| **მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **2,317,692** | **1,835,980** |

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 14 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ილია კაპანაძე

ფინანსური დირექტორი _____ მიხეილ ჯავახიშვილი

*9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*